amaze

განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ- გაკვეთილის გეგმა AMAZE ანიმაციური ვიდეო რესურსების გამოყენებით

საგაკვეთილო გეგმები თარგმნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების რესურსიდან და ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ



სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი)

და თანხმობა

HERA XXI amaze Advocates for Youth Rights. Respect. Responsibility. unesco UNFPA

გაკვეთილის შესახებ...

წინამდებარე გაკვეთილის გეგმა ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს ცხრა ინდივიდუალურ გაკვეთილის გეგმას, და რომელიც განკუთვნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სკოლებსა ან არასასკოლო გარემოში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიწოდების მხარდასაჭერად. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ითვალისწინებს „AMAZE"-ის მიერ შექმნილი და გაკვეთილის გეგმასა და თემასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ვიდეოების გამოყენებას; გარდა ამისა, შესაძლებელია მოცემული მასალების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ფარგლებში დამტკიცებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება დამატებითი რესურსების სახით.

საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სფეროში ნებისმიერი კონკრეტული თემის შესწავლა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარების, გამოყენებისა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას აძლევს. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ნიმუშის ფორმით არის შედგენილი და სწავლის მხოლოდ რამდენიმე ძირითად შედეგს მოიცავს, რადგან ჩვენ ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ, რომ ერთი გაკვეთილი ხშირად არ არის საკმარისი სწავლის რომელიმე შედეგის მისაღწევად ან ერთზე მეტი სასწავლო სფეროს მოსაცავად. რეკომენდებულია მასწავლებლებმა დაგეგმონ და ჩაატარონ დამატებითი გაკვეთილები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველსაყოფად შემუშავებული მოცემული გაკვეთილების ფარგლებში დამუშავებული თემების განმტკიცება და სწავლის დასახული შედეგების სრულყოფილი მიღწევა. ამ მიზნით მათ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საკლასო ასევე არასაკლასო გარემოში არსებული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გააცნობიერონ მათი დამოკიდებულებები და დახვეწონ და პრაქტიკაში დანერგონ შეძენილი უნარები.

amaze

სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) და თანხმობა

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ

გაკვეთილის გეგმა

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო

ძრითადი ცნება 4: ძალადობა და უსაფრთხოება

- თემა 4.3: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) უსაფრთხო სარგებლობა
ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

წინაპირობა

მოსწავლეები ფლობენ ცოდნას თანხმობისა და სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე მისი შედეგების შესახებ, ასევე პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელობის შესახებ და იმის შესახებ, რომ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გაზიარებისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა

სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი

მე-3-4 კლასის მოსწავლეები(ასაკი 8-9 წელი)
მე-7-9 კლასის მოსწავლეები (ასაკი 12-14 წელი)

გაკვეთილის ხანგრძლივობა

45 წუთი

გაკვეთილისთვის მზადება:

- ასოციაცია „HERA XXI"-ის YouTube არხზე მოიძიეთ AMAZE-ს ვიდეომასალა სახელწოდებით „სექსუალური ხასიათის შეტყობინებები: როგორ უნდა ვიმოქმედოთ?", რათა გაეცნოთ მის შინაარსს და დარწმუნდეთ, რომ კომფორტულად იგრძნობთ თავს კლასში მოსწავლეებისათვის მისი ჩვენებისას
- წინასწარ ჩართეთ ვიდეო „YouTube"-ზე და ნახეთ იგი სრულად, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მზადაა გაკვეთილის მსვლელობისას ჩვენებისათვის, ხარვეზებისა და რეკლემების გარეშე, ან ჩამოტვირთეთ ვიდეო გაკვეთილის მსვლელობისას მისი გამოყენებისათვის. შეგიძლიათ ისარგებლოთ „YouTube"-ზე ვიდეოს ჩვენების სიჩქარის რეგულირების ფუნქციით, თქვენი მოსწავლეების საჭიროებებზე მისი მაქსიმალურად მორგების მიზნით
- ამობეჭდეთ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსი: „შემდეგ რა ხდება? - სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) - სიტუაციები" - ერთი ეგზემპლარი სამი მოსწავლისგან შემდგარი თითოეული ჯგუფისთვის
- მოიძიეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედი კანონები სექსუალური ხასიათის მასალების შესახებ, რათა შეძლოთ ამ ინფორმაციის მოსწავლეებისთვის გაზიარება, ამგვარი კანონების არსებობის შემთხვევაში

საჭირო მასალები:

- მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსი: „შემდეგ რა ხდება? - სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) - სიტუაციები"
- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი
- LCD პროექტორი და ეკრანი
- ვიდეოს ბმული: https://youtu.be/RgRroRNdwHg?si=wPsWk-t2LOTEgdyb
- დაფა და ცარცი

ასოციაცია „HERA XXI"-ის მიერ ნათარგმნი AMAZE-ს თემატური ვიდეოები:
აზერბაიჯანულ ენაზე: https://youtu.be/4BCzugEuf3o?si=DhyxT298XeJAkTv
სომხურ ენაზე: https://youtu.be/LcpE3eVCK_U?si=mxlmU1j22HYs7tZ8



სწავლის ამოცანები:

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

1. **განმარტონ რას ნიშნავს სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი).** (ცოდნა)
2. **გააცნობიერონ სექსუალური ხასიათის გზავნილების (სექსტინგის) კონტექსტში თანხმობის მნიშვნელობა.** (დამოკიდებულება)
3. **აჩვენონ, როგორ წარმოებს თანხმობის განცხადება და მოპოვება.** (უნარი)

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის მიზანი:

ეტაპი 1

გაიცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და მიმართეთ მათ შემდეგნაირად: „ტექნოლოგიებისა და სმარტფონების ეპოქაში, ადამიანები მუდმივად იყენებენ ტელეფონს კომუნიკაციისთვის. კომუნიკაციის ერთი ტიპი, რომლის შესახებაც შეიძლება გსმენიათ ან შეგხვედრიათ, არის სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი). დღეს ჩვენ განვიხილავთ რა არის სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი), რატომ არის თანხმობა მნიშვნელოვანი, სექსუალური ხასიათის გზავნილების (სექსტინგის) დროს, და როგორ განვაცხადოთ და მოვიპოვოთ თანხმობა.”

აუხსენით მოსწავლეებს, რომ „სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) არის მობილური ტელეფონის საშუალებით სექსუალური ხასიათის ფოტოების ან შეტყობინებების გაგზავნა“. დაწერეთ ეს განმარტება დაფაზე, მოსწავლეებისათვის მისი გაზიარების შემდეგ.

უთხარით მოსწავლეებს: „დეტალურად რომ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა არის სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) და რა უნდა გავითვალისწინოთ ამ პრაქტიკის დროს, ჩვენ ვნახავთ მოკლე ვიდეოს“. შემდეგ, აჩვენეთ მოსწავლეებს ასოციაცია ,,HERA XXI”-ის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული „AMAZE“-ის ორწუთნახევრიანი ვიდეო, სახელწოდებით: „სექსუალური ხასიათის შეტყობინებები: როგორ უნდა ვიმოქმედოთ?”
https://youtu.be/RgRroRNdwHg?si=wPsWk-t2LOTEgdyb

(5 წუთი)

ეტაპი 2

ვიდეოს ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს გადანაწილდნენ წყვილებად, ამასთან მეწყვილეები შესაძლებელია იყვნენ მხოლოდ გოგონები, მხოლოდ ბიჭები ან შერეული სქესის, და მიეცით მათ 6 წუთი, რომლის განმავლობაშიც მეწყვილეებმა უნდა იმსჯელონ ვიდეოზე და უპასუხონ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ, აქტივობის დასრულების შემდეგ, სთხოვთ რამდენიმე მოხალისეს, თანატოლებს გაუზიარონ მეწყვილესთან საუბრისას გაჟღერებული მნიშვნელოვანი მომენტები.

- რაზე დაგაფიქრათ ამ ვიდეომ/რას ფიქრობდით მის შესახებ?
- ვინ წამოიწყო სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი)? შეიძლებოდა პირიქით ყოფილიყო?
- რას ფიქრობთ, რა არის ამ ვიდეოს მთავარი გზავნილი?

6 წუთის შემდეგ, ჰკითხეთ ვის სურს თანატოლებს გაუზიაროს მეწყვილესთან საუბრისას გაჟღერებული მნიშვნელოვანი მომენტები. საჭიროების შემთხვევაში, სთხოვეთ მათ უპასუხონ კონკრეტულ კითხვებს.

შეაჯამეთ მოსწავლეების მიერ გაკეთებული ძირითადი დასკვნები და თუ მოსწავლეებს არ გაუჟღერებიათ ამის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ახალგაზრდებს აქვთ ინფორმაციის გაზიარებისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება და რომ მეგობრობისა და სქესობრივი ურთიერთობების ინიცირება ჯანსაღი ზრდის ნაწილს წარმოადგენს. დღესდღეისობით, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, შიშველი ფოტოების მოთხოვნა ან გაზიარება იმ ადამიანთან, ვინც მოგწონთ, შეიძლება მათთვის იყოს გზავნილი, რომ თქვენ იგი ნამდვილად მოგწონთ, მაგრამ არსებობს გრძნობების გამოხატვის სხვა გზები და საშუალებები, რომლებიც პატივისცემას ეფუძნება; ეცადეთ სხვა ადამიანს თავი ცუდად არ აგრძნობინოთ, და გაუაზრებლად არ ჩაიდინოთ კანონსაწინააღმდეგო ქმედება.*(15 წუთი)*

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ გაკვეთილის გეგმა

ეტაპი 3

შემდეგ, აუხსენით მოსწავლეებს, რომ პირადი ინფორმაციის გაზიარება, განსაკუთრებით ისეთისა, როგორიც არის შიშველი ფოტოები, რისკის შემცველია, რადგან საქმე თანხმობას ეხება. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ახსოვთ თუ არა, რას ნიშნავს თანხმობა და სთხოვეთ მოხალისე მოსწავლეებს გაუზიარონ საკუთარი განმარტებები თანატოლებს. შემდეგ, შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ორივე მხარის თანხმობაა საჭირო, როდესაც საქმე კონკრეტულ სექსუალურ ქცევას ეხება (როგორიცაა სექსუალური ხასიათის ფოტოების გაზიარება), და მსგავსი თანხმობის განცხადება წარმოებს ისეთი ფრაზებით, როგორიცაა: „დიახ, ეს ჩემთვის მისაღებია“. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „მაშინაც კი, თუ ვინმე თანახმაა საკუთარი ფოტოები გაგიზიაროთ, ნიშნავს კი ეს იმას, რომ იგი თანახმაა ეს ფოტოები თქვენ სხვებს გაუზიაროთ?“ დაუდასტურეთ მოსწავლეებს, რომ ერთი ადამიანისთვის ფოტოს გაზიარება არ ნიშნავს იმას, რომ პირი თანახმაა მისი ფოტოები სხვასაც გაუზიაროთ, თუმცა ტექნოლოგიები ამ პროცესს ამარტივებს, რადგან ამის გაკეთება ღილაკზე თითის ერთი დაჭერით არის შესაძლებელი.

გადაანაწილეთ მოსწავლეები 3-3 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებში და მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფს გადაეცით სამი სიტუაციიდან: „შემდეგ რა ხდება? - სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი)“ ერთ-ერთი. ამასთან მოსწავლეთა ჯგუფების ნახევარს უნდა შეხვდეს სიტუაცია 1 ან სიტუაცია 2 (რომელთაგანაც ორივე ერთმანეთის მსგავსია და მხოლოდ პერსონაჟების ქცევაა შეცვლილი), ხოლო მეორე ნახევარს უნდა ერგოს სიტუაცია 3. სთხოვეთ მოსწავლეებს გადახედონ სიტუაციას, რომელიც მათ ერგოთ და დაადგინონ, იყო თუ არა თანხმობა განცხადებული ან მოპოვებული.

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: სიტუაციების ადაპტირება შესაძლებელია, მათში სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის პერსონაჟების ჩართვით და შესაძლებელია პერსონაჟებისთვის ისეთი სახელების შერჩევა, რომლებიც ერთ კონკრეტულ სქესთან არ ასოცირდება (როგორც ეს მე-3 სიტუაციაშია მოცემული).

მცირე ჯგუფებში ხუთწუთიანი დისკუსიის შემდეგ, უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა ერთად განიხილავთ სიტუაციებს. დაწყებული ჯგუფებით, რომლებიც 1-ლ სიტუაციას გაეცნენ, სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, გაუზიარონ თანატოლებს სიტუაციის გაცნობის შემდეგ გაკეთებული ერთი დასკვნა; სთხოვეთ ყოველ მომდევნო ჯგუფს არ გაიმეორონ უკვე გაჟღერებული მოსაზრებები. შემდეგი, იგივე თხოვნით მიმართეთ ჯგუფებს, რომლებიც მე-2 სიტუაციას გაეცნენ, და ბოლოს, ჯგუფებს, რომლებსაც მე-3 სიტუაცია ერგოთ. მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა ყველა ჯგუფი გაუზიარებს თანატოლებს საკუთარ დასკვნებს, შეაჯამეთ მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად:

- გუჯას და ბელას, თუ ნუკრის და დოდოს, ყველას აქვს ინფორმაციის გაზიარებისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება, მეგობრობისა და სქესობრივი ურთიერთობების ინიცირება ჯანსაღი ზრდის ნაწილს წარმოადგენს.

- შეიძლება რთული აღმოჩნდეს თანხმობის განცხადება ან იმის გარკვევა, მოპოვებული იქნა თუ არა თანხმობა, როდესაც საქმე ონლაინ კომუნიკაციას ეხება.

- 1-ლ და მე-2 სიტუაციებში, არც გუჯას და არც ბელას არ განუცხადებია თანხმობა საკუთარი ფოტოების სხვებისთვის გაზიარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფოტოები ერთმანეთს გაუზიარეს...

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ გაკვეთილის გეგმა

- მე-3 სიტუაციაში ნუკრის არ უთხოვია დოდოსგან თანხმობა მისი შიშველი ფოტოს გაზიარებაზე.
- ვინმესთვის ფოტოს გადაღება, მისი გაგზავნა ან გამოქვეყნება, მათი თანხმობის გარეშე, არ არის სწორი და მისაღები ქმედება.
- მათ მიერ გაგზავნილი თუ გაზიარებული ფოტოები შეიძლება ბავშვთა პორნოგრაფიად და უკანონოდ იქნას მიჩნეული, ადგილობრივი კანონის თანახმად.
- თუ რომელიმე მათგანი აზიარებს ან აქვეყნებს მეორე მათგანის ფოტოს, მისთვის ზიანის მისაყენებლად ან მის გასაღიზიანებლად (შესაძლოა, დაშორების შემდეგ), ეს შეიძლება ჩაითვალოს „შურისძიების საფუძველზე განხორციელებულ პორნოგრაფიად“, რაც ასევე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

(20 წუთი)

ეტაპი 4

გაკვეთილის დასასრულს, შეაჯამეთ განხილული თემები და აღნიშნეთ, რომ სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) არის სექსუალური ფოტოების ან შეტყობინებების გაგზავნა მობილური ტელეფონის საშუალებით, და იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობთ, ეს შეიძლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებად იქნას მიჩნეული. მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ახალგაზრდებს აქვთ ინფორმაციის გაზიარებისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება და რომ არსებობს სხვა გზები, რომელთა საშუალებითაც შეგიძლიათ დაუმტკიცოთ ვინმეს, რომ მოგწონთ. ყურადღება გაამახვილეთ თანხმობის მნიშვნელობაზე ნებისმიერ ურთიერთობაში, მათ შორის ვირტუალურ სივრცეში, და იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მკაფიო თანხმობის განცხადება ან მკაფიო თანხმობის მოპოვება, როდესაც საქმე სექსუალური ხასიათის გზავნილებს (სექსტინგს) ეხება, რადგან ამ შემთხვევაში შედარებით რთული გასარკვევია, აცხადებს თუ არა და რაზე აცხადებს ადამიანი თანხმობას და რაზე არა.

(4 წუთი)

ეტაპი 5

დაურიგეთ მოსწავლეებს საშინაო დავალებისთვის განკუთვნილი ფურცლები: „თანხმობის განცხადება და მოპოვება“ და აუხსენით მათ, როგორ უნდა შეასრულონ იგი. უთხარით მათ, რომ უნდა აღწერონ მომდევნო კვირაში განვითარებული მოვლენები: ორი სიტუაცია, როდესაც სხვას აძლევენ უფლებას რაიმეზე, და ორი სიტუაცია, როდესაც სხვას სთხოვენ რაიმეს გაკეთების ნებართვას.

(1 წუთი)

ძირითადი დასკვნები:

- სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) არის მობილური ტელეფონის საშუალებით სექსუალური ხასიათის ფოტოების ან შეტყობინებების გაგზავნა
- თანხმობა სარისკო კომპონენტია, როდესაც საქმე სექსუალური ხასიათის გზავნილებს (სექსტინგს) ეხება, რადგან ამ შემთხვევაში შედარებით რთული გასარკვევია, აცხადებს თუ არა და რაზე აცხადებს ადამიანი თანხმობას და რაზე არა
- სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) შეიძლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებადაც იყოს მიჩნეული, ამიტომ მნიშვნელოვანია კანონების ცოდნა

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*

გაკვეთილის გეგმა

სწავლის ამოცანების მიღწევის შეფასება გაკვეთილის დასრულების შემდგომ:

დააკვირდით როგორ მონაწილეობენ მოსწავლეები ვიდეოს ჩვენების შემდგომ გამართულ დისკუსიაში და როგორ აანალიზებენ ისინი სიტუაციებს, რაც დაგეხმარებათ შეაფასოთ თუ რამდენად ცნობენ ისინი სექსუალური ხასიათის გზავნილებს (სექსტინგს) და რამდენად აცნობიერებენ თანხმობის მნიშვნელობას. ალტერნატივის სახით, გაკვეთილის ბოლოს, შეგიძლიათ მოსწავლეებს დაურიგოთ სამუშაო ფურცლები და სთხოვოთ მათ ამოიცნონ სექსუალური ხასიათის გზავნილების (სექსტინგის) სწორი განმარტება, შეაფასონ რამდენად მნიშვნელოვანად მიაჩნიათ თანხმობა სექსუალური ხასიათის გზავნილების (სექსტინგის) შემთხვევაში და აღწერონ რატომ. მოსწავლეებს შეგიძლიათ მისცეთ საშინაო დავალება, რომელიც შეამოწმებს თანხმობის განცხადებისა და მოპოვების უნარს.

დისტანციურად ჩატარებისთვის გაკვეთილის ადაპტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

გაკვეთილის დისტანციურად ჩატარებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ციფრული პლატფორმებით: Google Classroom ან Zoom. გაკვეთილის მეორე ეტაპზე, როდესაც მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ, შესაძლებელია მათ შესთავაზოთ იმუშაონ ვირტუალურ წყვილებში. ასევე მესამე ეტაპზე გათვალისწინებული ჯგუფური სამუშაოსთვის, მოსწავლეები შეგიძლიათ გადაანაწილოთ სამ-სამი მოსწავლისგან შემდგარ ვირტუალურ ჯგუფებში, რა შემთხვევაშიც ფურცელზე აღწერილი სიტუაციები მათ შეგიძლიათ მიაწოდოთ წინასწარ. ნებისმიერი ჩანაწერის გასაკეთებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ ვირტუალური დაფით.

საშინაო დავალება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაურიგეთ მოსწავლეებს საშინაო დავალებისთვის განკუთვნილი ფურცლები: „პრაქტიკაში გამოყენება: თანხმობის განცხადება და მოპოვება“ და აუხსენით მათ როგორ უნდა შეასრულონ იგი.

სასარგებლო მასალები

- ძალადობა და უსაფრთხოება: თანხმობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება-http://forteachers.ge/temis-mixedvit/zaladoba-da-usafrtxoeba/

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებსა და ოჯახში ძალადობაზე კონფიდენციალური იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეთ, უფასო ცხელი ხაზის ნომერზე: 032 20 11 221

ადაპტირებულია, წყარო: ორგანიზაცია „Advocates for Youth“,უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა: 12 წლიანი სასკოლო განათლების სასწავლო გეგმა; თანხმობა, სექსუალური ხასიათის გზავნილები (სექსტინგი) და კანონი - არ დაამყაროთ სქესობრივი კავშირი მათ გარეშე.
ქართულ ენაზე ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ.

თანხმობის განცხადება და მოპოვება

პრაქტიკაში დანერგვა

სახელი, გვარი: _____

თარიღი: _____

აღწერეთ მომდევნო კვირაში განვითარებული მოვლენები: ორი სიტუაცია, როდესაც სხვას აძლევთ უფლებას რაიმეზე, და ორი სიტუაცია, როდესაც სხვას სთხოვეთ რაიმეს გაკეთების ნებართვას. აღწერეთ როგორ წარიმართა თითოეული სიტუაცია.

სიტუაცია 1:

_____

_____

_____

განაცხადეთ თანხმობა?_____**თუ განაცხადეთ თანხმობა, რა თქვით/რა გააკეთეთ?**_

_____

_____

რას გააკეთებდით სხვაგვარად? _____

_____

_____

სიტუაცია 2:

_____

_____

_____

განაცხადეთ თანხმობა?_____**თუ განაცხადეთ თანხმობა, რა თქვით/რა გააკეთეთ?**_

_____

_____

რას გააკეთებდით სხვაგვარად? _____

_____

_____

საშინაო დავალება

პრაქტიკაში დანერგვა

სიტუაცია 3:

____

____

____

მოიპოვეთ თანხმობა?__________თუ თანხმობა მოიპოვეთ, რა თქვით/გააკეთეთ მის მოსაპოვებლად?____

____

____

რას გააკეთებდით სხვაგვარად? ____

____

____

სიტუაცია 4:

____

____

____

მოიპოვეთ თანხმობა?__________თუ თანხმობა მოიპოვეთ, რა თქვით/გააკეთეთ მის მოსაპოვებლად?____

____

____

რას გააკეთებდით სხვაგვარად? ____

____

____

სიტუაცია 1

ბელა 15 წლისაა, გუჯა 17-ის, ისინი ერთ სკოლაში სწავლობენ, მათ ერთმანეთი მოსწონთ და ერთმანეთს ხვდებიან. გუჯა ბელას შიშველი ფოტოს გაგზავნას სთხოვს. ზაფხულის განმავლობაში გუჯამ რამდენჯერმე გაუგზავნა ბელას საკუთარი ფოტოები, ისინი ერთმანეთს ისე ხშირად ვეღარ ხვდებიან, თუმცა ინტერნეტით ხშირად საუბრობენ, გუჯა ბელას საკუთარი შიშველი ფოტოს გამოგზავნას სთხოვს, რათა მას დახედოს, როდესაც ბელა მოენატრება. ბელასაც ენატრება გუჯა და რადგან გუჯამ თავისი შიშველი ფოტოები არაერთხელ გამოუგზავნა, ბელა გადაწყვეტს გაუგზავნოს მას თავისი შიშველი ფოტო. რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ ბელა გუჯას საკუთარი შიშველი სხეულის ფოტოს გაუგზავნის? უნდა დათანხმდეს ბელა ან გუჯა მათი ფოტოების სხვებისთვის გაზიარებას?

სიტუაცია 2

გუჯა 15 წლისაა, ბელა 17-ის, ისინი ერთ სკოლაში სწავლობენ, მათ ერთმანეთი მოსწონთ და ერთმანეთს ხვდებიან. ბელა გუჯას შიშველი ფოტოს გაგზავნას სთხოვს. ზაფხულის განმავლობაში ბელამ რამდენჯერმე გაუგზავნა გუჯას საკუთარი ფოტოები, ისინი ერთმანეთს ისე ხშირად ვეღარ ხვდებიან, თუმცა ინტერნეტით ხშირად საუბრობენ, ბელა გუჯას საკუთარი შიშველი ფოტოს გამოგზავნას სთხოვს, რათა მას დახედოს, როდესაც გუჯა მოენატრება. გუჯასაც ენატრება ბელა და რადგან ბელამ თავისი შიშველი ფოტოები არაერთხელ გამოუგზავნა, გუჯა გადაწყვეტს გაუგზავნოს მას თავისი შიშველი ფოტო. რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ გუჯა ბელას საკუთარი შიშველი სხეულის ფოტოს გაუგზავნის? უნდა დათანხმდეს გუჯა ან ბელა მათი ფოტოების სხვებისთვის გაზიარებას?

სიტუაცია 3

ნუკრი და დოდო დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ. მათ ურთიერთობა დაიწყეს როგორც მეგობრებმა, თუმცა, მათი მეგობრობა თანდათან გაღრმავდა და, ერთ დღესაც, დოდომ ნუკრის საკუთარი შიშველი სხეულის ფოტო გაუგზავნა. აღელვებულმა ნუკრიმ ფოტო რამდენიმე მეგობარს აჩვენა, რადგან ფიქრობს, რომ დოდო ძალიან მომხიბვლელია. რა შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ნუკრიმ დოდოს შიშველი ფოტო თავის მეგობრებს აჩვენა? დოდომ განაცხადა თანხმობა იმაზე, რომ ნუკრის მისი ფოტო სხვებისთვის გაეზიარებინა?